სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის No16 ანგარიში

2022 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ **სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიშის პრეზენტაცია გამართა.**

ანგარიში ასახავს 2021 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს გამოვლენილ ძირითად მიგნებებს, რომელთა საფუძველზეც საიამ მოამზადა რეკომენდაციები.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავ უალტერნატივო აღკვეთის ღონისძიების სახეებად რჩება გირაო და პატიმრობა. საიას მონიტორები დაესწრნენ სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის 490 სხდომას, 559 ბრალდებულის მონაწილეობით. აქედან 531 (95%) პირს შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება, 28 (5%) პირის მიმართ კი სასამართლომ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. ბრალდების მხარეს მხოლოდ 10 პირის (2%) მიმართ არ მოუთხოვია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

- პერიოდში სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო 271 (51%) ბრალდებულს შეუფარდა. ბრალდების მხარე 226 (40%) პირის მიმართ ითხოვდა გირაოს გამოყენებას. **სასამართლომ მხოლოდ 22 (10%) შემთხვევაში არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობის მოთხოვნა.**

- 52 (19%) ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამოიყენა გირაოს მინიმალური ოდენობა.

- 134 (49%) პირის მიმართ, გამოიყენა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

სხდომებზე დაკვირვებისას გამოკვეთილი სხვა მნიშვნელოვანი ტენდენციები:

პატიმრობის მოთხოვნა/გამოყენება:

პროკურატურა 323 (58%) ბრალდებულის მიმართ ითხოვდა პატიმრობის გამოყენებას. აქედან 73 (22%) შემთხვევაში სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. **საიას შეფასებით, 82 (32%) პირის მიმართ გამოყენებული პატიმრობა იყო დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული. აღსანიშნავია, რომ** წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 6 პროცენტითაა შემცირებული პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის 268 სხდომაზე 353 (63%) ბრალდებული დაკავებულის სახით წარდგა სასამართლოს წინაშე.

სასამართლოს კონტროლი და პოლიციელთა მიერ არასათანადო მოპყრობა:

საგანგაშოა, რომ სასამართლოში გამოცხადებულმა **9 ბრალდებულმა ისაუბრა პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე.**

კვლავ სუსტია სასამართლოს კონტროლი საქმის არსებითი განხილვის გარეშე, განაჩენის გამოტანის შუამდგომლობებისა და დაკავების კანონიერების შეფასების ნაწილში, აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ 33 (13%) პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისთვის სასამართლოს სულ რაღაც 15 წუთამდე დრო დასჭირდა.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, **ოთხი პროცენტული ერთეულით გაზრდილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების დადების ხვედრითი წილი.**

გამოვლინდა საგანგაშო შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარე პროცესზე გადახდის ქვითრით ხელშიგამოცხადდა და თქვა, რომ საპროცესო შეთანხმების ოქმით გათვალისწინებული

ჯარიმა წინასწარგადაიხადა.

ფემიციდის და ოჯახში ძალადობის საქმეები:

- მწვავე პრობლემაა ფემიციდის, ქალთა მკვლელობის შემთხვევები. საანგარიშო პერიოდშისაია აკვირდებოდა ქალთა მკვლელობის არაერთ საქმეს, რომლებიც ოჯახურ დანაშაულს უკავშირდებოდა. ასევე, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ქორწინების იძულების ფაქტი.

- ოჯახში ძალადობაში ბრალდებულ 56 (46%) პირს შეუფარდა პატიმრობა, 59-ს (48%) - გირაო, 1 (1%) ბრალდებულს კი - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. ამ ბოლო შემთხვევაში ბრალდებული ქალი იყო.

- ოჯახში ძალადობაში ბრალდებული 6 (5%) პირი აღკვეთის ღონისძიების გარეშედატოვა.

ანგარიშში აგრეთვე განხილულია სხვა ისეთი საკითხები და სხდომებზე დაკვირვების შედეგები, რომელთა მიმართაც მიმდინარე წლის განმავლობაში საზოგადოების ინტერესი მაღალი იყო.

იხილეთ ანგარიში **სრულად**

ანგარიში მომზადებულია ნიდერლანდების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის Ą□□□□□□□□□□ of the Judiciary A ფარგლებში. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. მასში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ნიდერლანდების საელჩოს შეხედულებებს.